



# გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი

დამტკიცებულია სსიპ-ქ.გორის  
ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის  
დირექტორის ბრძანებით.

N1/54, 22.07.2020 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის  
სამუსიკო კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო  
პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განხორციელების წესი

## თავი I. ზოგადი დებულებები

### მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე დებულება აწესრიგებს ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში (შემდგომში-გსკ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განხორციელების წესსა და პირობებს.

-პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი-დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება მისანიჭებელი კვალიფიკაცია, შესაბამისი კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო კრედიტების რაოდენობა, მისაღწევი სწავლის შედეგები, იმ მოდულების ერთობლიობა, რომლებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა აუცილებელია კვალიფიკაციის მისანიჭებლად, შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების და ამ პროგრამის განხორციელების წინაპირობები, დასაქმების სფეროები და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული მოთხოვნები;

-პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, მოდულის/მოდულების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებითა და მისი დამადასტურებელი პროფესიული დიპლომის გაცემით.

-პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი (შემდგომში-„ჩარჩო დოკუმენტი“) - საგანმანათლებლო სტანდარტი, რომელიც მოიცავს ამა თუ იმ პროფესიის დაუფლებისათვის საჭირო ინფორმაციას, მათ შორის პროფესიულ სპეციალიზაციას/სპეციალიზაციებს, სწავლის სფეროს, კვალიფიკაცია/კვალიფიკაციებს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების და პროგრამის განხორციელების წინაპირობებს, მიზანს, სწავლის შედეგებს, მოდულების ჩამონათვალს, სწავლებისა და შეფასების მეთოდებს.

-მოდული - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებული ან დამოუკიდებლად შემუშავებული კომპონენტი, რომელიც აერთიანებს ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ საწავლის შედეგებს, აღწერს მათი მიღწევის გზებს, საშუალებებსა და დადასტურების პირობებს.

–მოდულური პროგრამა– პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

–პროფესიული სტუდენტი (შემდგომში „სტუდენტი“)-პირი, რომელიც სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

–კვალიფიკაცია- დაწესებულების სწავლის შედეგის მიღწევის შეფასებისა და დადასტურების ფორმალური შედეგი, რომელიც დასტურდება სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერთიფიკატით, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით – დიპლომით ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით.

## **თავი II.**

**ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში –მოდულური პროგრამის) შემუშავების/ადაპტირების, დამტკიცების, შეფასებისა და ცვლილების შეტანის წესი**

წინამდებარე წესი განსაზღვრავს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურებს. დოკუმენტი შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანებისა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების საფუძველზე.

## **მუხლი 2. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების ინიცირება**

1. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების ინიციატორი შეიძლება იყოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, დამსაქმებელი, საინიციატივო ჯგუფი და სხვა დაინტერესებული პირი.
2. ახალი პროგრამის დამატების შესახებ დასაბუთებული ინიცირება ხდება წერილობითი ფორმით - „პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება“, შესაბამისი ბაზრის კვლევის ან სხვა საჭიროებიდან გამომდინარე.

## **მუხლი 3. მოდულური პროგრამის შემუშავების პროცედურა**

1. მოდულური პროგრამის შემუშავება ხდება კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ხელმძღვანელობით.
2. მოდულური პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობას დებულობენ შესაბამისი დარგისა და ზოგადი მოდულების პედაგოგები.
3. იმ შემთხვევაში, თუკი პრაქტიკული პროექტის მოდულის განხორციელება დაგეგმილია სასწავლო დაწესებულების ფარგლებს გარეთ, ოფიციალური შეთანხმების საფუძველზე, პროგრამის პროექტს თან უნდა ახლდეს შესაბამისი დოკუმენტაცია: პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული მემორანდუმი/ხელშეკრულება.
  4. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი პროგრამის შესახებ ამზადებს დასკვნას. დადებითი დასკვნის შემთხვევაში, შემუშავებული პროგრამა დასამტკიცებლად წარედგინება კოლეჯის დირექტორს.
  5. მოდულურ პროგრამას კოლეჯის წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი
  6. მოდული წარმოადგენს პროგრამის დანართს და ის მტკიცდება პროგრამასთან ერთად.

#### **მუხლი 4. მოდულური პროგრამის შემუშავების წესი**

1. მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს სამი ტიპის მოდულებს: ზოგადი მოდულები, სავალდებულო პროფესიული მოდულები და არჩევითი მოდულები. ზოგადი მოდულები და სავალდებულო პროფესიული მოდულები სავალდებულოა და მათი შეცვლის უფლება დაწესებულებას არ გააჩნია.
2. კოლეჯი უფლებამოსილია არ გაითვალისწინოს ჩარჩო დოკუმენტის ფარგლებში შეთავაზებული მოდულები და შეარჩიოს ან განავითაროს ისინი საკუთარი შეხედულებისამებრ. ეს შეიძლება იყოს სხვა პროგრამის სავალდებულო ან არჩევითი მოდულები, რაც უზრუნველყოფს დამატებითი ცოდნისა და უნარების შეძენას მომიჯნავე სპეციალიზაციაში, ან შექმნის დამატებით ვიწრო სპეციალიზაციის შესაძლებლობას. არჩევითი მოდულები ლოგიკურად უნდა იყოს ბმაში პროგრამასთან, რაც საჭიროების შემთხვევაში უნდა იქნას დასაბუთებული.
3. ჩარჩო პროგრამა მოიცავს უცხოური ენის შესაბამისი დონის ზოგად მოდულს. კოლეჯი უფლებამოსილია, შეარჩიოს შესაბამისი უცხოური ენა, რომელსაც ასწავლის პროგრამის ფარგლებში და ეს ასახოს უცხოური ენის მოდულში. თუ პროგრამა სპეციალობის სავალდებულო მოდულებში ითვალისწინებს რომელიმე კონკრეტულ უცხოურ ენას, მაშინ ზოგადი უცხოური ენა იგივე უნდა იყოს.
4. პროგრამას დანართის სახით თან უნდა ახლდეს სასწავლო გეგმა. სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ უნდა იყოს 30 საათზე ნაკლები და 40 საათზე მეტი (დატვირთვაში იგულისხმება დამოუკიდებელი საათებიც).
5. როცა მოდული არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება ხორციელდება მინიმუმ ერთკვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასებების ჩატარების პრობლემა. ასეთ შემთხვევაში, დასაშვებია სტუდენტის კვირეული დატვირთვა იყოს 30 საათზე ნაკლები.
6. სასწავლო გეგმა უნდა იძლეოდეს ცხად სურათს პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების შესახებ და დაცული უნდა იქნას მოდულებზე დაშვების წინაპირობები.
7. სასწავლო გეგმა თავის თავში მოიცავს სასწავლო გეგმებს „არაქართულენოვანი“ „ქართული ენა A2“ „ქართული ენა B1“ მოდულებით და „ქართულენოვანი“ სტუდენტებისათვის. მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება #152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.
8. მოდულურ პროგრამას დანართის სახით თან უნდა ახლდეს ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ.
9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის X პუნქტით გათვალისწინებულია პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა: მოცულობა შესაძლოა შეიცვალოს არჩევითი მოდულების კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე. შესაბამისად შეიცვლება სწავლების სავარაუდო ხანგრძლივობა;

#### **მუხლი 5. მოდულის შემუშავების წესი**

1. მოდული, როგორც წესი, წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტს და შესაბამისად, ის პროგრამის დანართია და მტკიცდება პროგრამასთან ერთად, ერთიანი აქტით. მოდულში ცვლილების შეტანა ხორციელდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, რომლითაც ხდება პროგრამის შესაბამისი დანართის ცვლილება.

2. მოდულები შედგება სამი ნაწილისაგან: ზოგადი ინფორმაცია, სტანდარტული ჩანაწერები და დამხმარე ჩანაწერები.
3. მოდულის პირველ (ზოგადი ინფორმაცია) და მეორე (სტანდარტული ჩანაწერები) ნაწილებში რაიმე ცვლილების განხორციელება პრაქტიკულად დაუშვებელია;
4. დამხმარე ჩანაწერები ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს, შესაბამისად, დასაშვებია მათში ცვლილებების შეტანა. კონკრეტულად, შესაძლებელია შეიცვალოს სწავლების მიდგომები და მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტები (და არა მიმართულებები).
5. საათების განაწილების სქემა: საათების განაწილებაში კოლეჯს შეუძლია ასახოს თავისი მიდგომები. შესაბამისად, კოლეჯის მიერ დამტკიცებული საათების განაწილების ცხრილი იქნება ან ზუსტად ანალოგიური ცენტრის მიერ დამტკიცებული განაწილების, ან საათების განაწილება სხვადასხვა კომპონენტს, ისევე როგორც სწავლის შედეგებს შორის იქნება გადათამაშებული, თუმცა ისე, რომ ჯამში საათების რაოდენობა უნდა უდრიდეს ცენტრის მიერ დამტკიცებულ მოდულში მითითებულს. საათების განაწილების ცვლილებისას დასაშვებია ცვლილება როგორც სტუდენტის დატვირთვის სახეებს შორის (ჰორიზონტალურად), ასევე სწავლის შედეგებს შორის (ვერტიკალურად), თუმცა არა დამოუკიდებელი საათების სასარგებლოდ (დამოუკიდებელი მუშაობის საათები არ უნდა გაიზარდოს).
6. მოდულის განხორციელების მიდგომები: ფორმულირებები უნდა შეიცვალოს იმგვარად, რომ ასახავდეს კოლეჯის მიდგომებს. თუ შემოთავაზებული მიდგომები გაზიარებული არაა, კოლეჯი თვითონ აყალიბებს საკუთარ მიდგომებს.
7. სასწავლო თემატიკა და სწავლების მეთოდები: კოლეჯს შეუძლია თემატიკა შეცვალოს მხოლოდ მისაღწევი სწავლის შედეგის კონტექსტში, ასევე, შეცვალოს სწავლების მეთოდები, საკუთარი შეხედულებისამებრ. სწავლის შედეგის შეფასება შესაძლოა მოხდეს როგორც ცალ-ცალკე, ისე რამდენიმე სწავლის შედეგისა ერთად (მ.შ. ერთი ინსტრუმენტით).
8. მოდულის განხორციელების ადგილი: აქ მიეთითება ის ადგილი ან ადგილები, სადაც მოდული ხორციელდება: მისამართი, ოთახი და სხვა;
9. ტექნიკური აღჭურვილობა: აქ მიეთითება დაწესებულების მიერ გამოყენებული აღჭურვილობა, რომელიც არ უნდა იყოს ნორმატივში მითითებულ პარამეტრებზე ნაკლები. აღჭურვილობა უნდა იძლეოდეს მოდულის სწავლის მიღწევის შესაძლებლობას.
10. მტკიცებულებების მოპოვების მიდგომები: ყველა სწავლის შედეგის მიღწევა დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებებით. თუ მტკიცებულების შეგროვების შეთავაზებულ მიდგომებს კოლეჯი არ ეთანხმება, შესაძლებელია მისი შეცვლა.
11. შეფასების მიმართულებები და ინსტრუმენტები: გვიჩვენებს თუ რა მიმართულებით უნდა შეფასდეს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევა. კოლეჯს შეუძლია შეცვალოს შეფასებისათვის გამოყენებული ინსტრუმენტი. მთავარია ინსტრუმენტი შესაფასებელი სწავლის შედეგის ადეკვატური იყოს და სანდო მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობას იძლეოდეს.
12. გამოყენებული ლიტერატურა ან/და ინფორმაციის წყაროები: ცენტრის მიერ დამტკიცებულ მოდულში ჩამოთვლილია რეკომენდირებული წყაროები. კოლეჯმა უნდა შეიტანოს მის საბიბლიოთეკო ფონდში დაცული ქაღალდზე ან ელექტრონულ მატარებელზე არსებული ლიტერატურა, კონსპექტები, ვებ-გვერდები და სხვა წყაროები, რასაც სასწავლებელი გამოიყენებს და კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისთვის იქნება ხელმისაწვდომი.
13. რეკომენდაციები საგანმანათლებლო საჭიროების (სსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის: უცვლელად რჩება და მოიცავს რეკომენდაციებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის;
14. მოდულის განმახორციელებელი: აქ ჩაიწერება პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებლის მონაცემები, რომელიც მოცემულ მოდულს განახორციელებს. შესაძლოა მოდულს ორი ან მეტი პირი ახორციელებდეს. ამ შემთხვევაში მიეთითება ყველა მათგანი.
15. დასაშვებია სხვადასხვა მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთიდაიმავე სივრცის

გამოყენება, თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში დასაშვებია მაქსიმუმ ორ ცვლიანი მუშაობის რეჟიმი.

## **მუხლი 6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი**

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, კრედიტების განაწილების, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (დატვირთვის) და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით ან/და მოდულით. ერთი კრედიტი ასახავს პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობას 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში.

## **მუხლი 7. პროგრამაში ცვლილებების შეტანა**

1. პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ სტანდარტში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის

( არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე.

2. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია დირექტორის მოადგილეს, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, ინიცირება დასაბუთებულად უნდა იქნას წარმოდგენილი წერილობით სახით.

3. პროგრამაში ცვლილების შეტანა ხორციელდება წინამდებარე პროცედურის მე-2 მუხლის შესაბამისად;

4. პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში კოლეჯი უფლებამოსილია შესაბამისი სამართლებრივი აქტით განსაზღვროს პროგრამის ჯგუფები, რომლებზეც ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე ვერ გავრცელდება აღნიშნული ცვლილება.

## **მუხლი 8. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების წესი**

1. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში საგანმანათლებლო პროგრამების ყოველწლიური შეფასება ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და დაწესებულების საქმიანობის შეფასების ინსტრუქციის შესაბამისად (ბრძ. N1/57, 23.07.2020წ).

2. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას კოორდინირებას უწევს კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.

3. შეფასების პროცესში ჩართული არიან პროფესიული სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პროფესიული მასწავლებლები და დამსაქმებლები.

4. შეფასების პროცესი იწყება პროგრამაში ჩართული პროფესიული მასწავლებლების, პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელთა ანკეტირებით (სპეციალური კითხვარების საშუალებით).

5. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი კითხვარების ანალიზის, სტუდენტთა რეიტინგული მონაცემების, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებლებთა გამოკითხვის შედეგების შეჯერების საფუძველზე შეიმუშავებს პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებისკენ მიმართულ რეკომენდაციებს.
6. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმების საფუძველზე, ხორციელდება პროგრამის განახლება, მოდიფიცირება.

### თავი III.

#### პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესი

#### მუხლი 9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ხდება მიღევად რეჟიმში, საგნობრივი სწავლების ფორმით;
2. კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტს.
3. გსკ-ში სასწავლო წელი ორსემესტრიანია. სემესტრი მოიცავს 19 კვირას, აქედან:
  - 17 კვირა ეთმობა სააუდიტორიო მუშაობას;
  - 2 კვირა - ძირითად საგამოცდო სესიებს;
4. პედაგოგიური საბჭო უფლებამოსილია განსაზღვროს სააუდიტორიო მუშაობისათვის კვირათა განსხვავებული რაოდენობა.
5. კოლეჯი იღებს ვალდებულებას სწავლისა და სასწავლო პრაქტიკის გავლის პერიოდში შექმნას სტუდენტებისათვის კომფორტული გარემო.
6. პროფესიული მასწავლებელი ვალდებულია, თავისი ინდივიდუალური დატვირთვის ფარგლებში, აწარმოოს სასწავლო პროცესი თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად, მიაწოდოს სტუდენტებს საგანმანათლებლო პროგრამითა და სასწავლო კურსის/მოდულის გეგმით გათვალისწინებული კრედიტების აღების პირობები სილაბუსში, რომელიც წინასწარ ცნობილი და ხელმისაწვდომი უნდა იყოს სტუდენტებისათვის. სილაბუსში უნდა აისახოს:
  1. სასწავლო კურსის სახელწოდება;
  2. სწავლის საფეხური
  3. სასწავლო კურსის ხანგრძლივობა;
  4. სემესტრი;
  5. ინფორმაცია მასწავლებლის შესახებ (სახელი, გვარი, კვალიფიკაცია, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი);
  6. სასწავლო კურსის მიზანი;
  7. სასწავლო კურსის მოცულობა კრედიტებში, საათების განაწილება
  8. სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები;
  9. სასწავლო კურსის შინაარსი;
  10. სწავლების/სწავლის მეთოდები
  11. შეფასების კრიტერიუმები
  12. სწავლის შედეგი.
  13. ძირითადი ლიტერატურა;

14. დამხმარე ლიტერატურა;

6. კოლეჯში განხორციელებადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს. სასწავლო კურსის ხანგრძლივობა არანაკლებ ერთი სემესტრია.
7. გსკ-ში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაანგარიშება ხდება კრედიტებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის №121/5 ბრძანების შესაბამისად. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობის მოცულობის განსაზღვრისათვის გამოიყენება კრედიტი - ერთეული, რომელიც ასახავს სტუდენტის მიერ საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში. ერთი კრედიტი ასახავს პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობას 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში. 1 ასტრონომიული საათი – 50 წუთი სამეცადინო დრო (ლექცია, გაკვეთილი), 10 წუთი შესვენება;
8. კრედიტის მისაღებად პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა თეორიის კომპონენტის ფარგლებში უნდა მოიცავდეს ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას, დამოუკიდებელ მეცადინეობასა და გამოცდების მომზადება-ჩაბარებას, ხოლო პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში – პრაქტიკულ მეცადინეობას, ინდივიდუალურ მეცადინეობას, სარეპეტიციო მეცადინეობას, საკონცერტო შესრულებას და გამოცდის ჩაბარებას.
9. სტუდენტს უფლება აქვს დასაბუთებულად მოითხოვოს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შედგენა და მონაწილეობა მიიღოს მის შემუშავებაში.
10. კრედიტების განაწილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებს შორის იძლევა სასწავლო კურსით/მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევის შესაძლებლობას.

## თავი IV

### სწავლის შედეგების შეფასების სისტემა

#### მუხლი 10 . შეფასება საგნობრივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ერთ-ერთი დადებითი შეფასებით:
2. შეფასების სისტემა უშვებს:
  - ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
    - ა.ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
    - ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
    - ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
    - ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
    - ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;
  - ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
    - ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება
    - ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
  - გ) სტუდენტი „ჩაიჭრა“ შეფასებას ღებულობს აგრეთვე:
    - ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით/საბოლოო გამოცდაზე;
    - ბ) ჩაიჭრა ძირითად ან დამატებით გამოცდაზე.

სტუდენტს, რომლის საბოლოო შეფასება არის (FX), ან არ გამოცხადდა გამოცდაზე (უწყისში დაფიქსირებულია „არ გამოცხადდა“) უფლება აქვს გავიდეს გამოცდაზე დამატებით სასესიო პერიოდში, საგამოცდო სესიების დასრულებიდან არაუადრეს 10 დღის ვადაში. თუ სტუდენტი დამატებით სასესიო პერიოდში „ჩაიჭრა“: „ვერ ჩააბარა“, ან „არ გამოცხადდა“ ითვლება ჩაჭრილად და ფასდება (F) „ჩაიჭრა“ შეფასებით. ასეთ შემთხვევაში, მას ეძლევა უფლება, დავალიანება დაფაროს მომდევნო სემესტრის დაწყებიდან 10 დღის ვადაში.

დ) საგნის/მოდულის ხელმეორედ გავლა შესაძლებელია როგორც მეცადინეობაზე დასწრებით, ისე დამოუკიდებლად, კონსულტაციების მიღების გზით.

3. გსსკ-ში მოქმედებს პროფესიული სტუდენტის შეფასების 100-ქულიანი მრავალკომპონენტური სისტემა. სტუდენტის მიერ გაწეული საქმიანობის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) სტუდენტის შუალედურ შეფასებას, რაც თავის მხრივ მოიცავს სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებასაც. მიმდინარე შეფასება შეიძლება ითვალისწინებდეს სხვა კომპონენტებსაც (გაწერილია სილაბუსებში);

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას; დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად – მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება.

4. შუასემესტრული შემოწმებების ფორმებს და ვადებს, ქულათა თანაფარდობას და გამოცდაზე გასვლის წინაპირობას ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი საგანმანათლებლო პროგრამის და საგანმანათლებლო კურსის მიზნების და ამოცანების გათვალისწინებით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც მიღებული აქვს მონაწილეობა სილაბუსებით გათვალისწინებულ შემოწმების ყველა ფორმაში, დაგროვილი აქვს შუასემესტრული შეფასებების სხვადასხვა კომპონენტში არანაკლებ 11 ქულისა;

6. საბოლოო შეფასებაში სტუდენტის მიმდინარე შეფასებების წილი განისაზღვრება 60%-ით, დასკვნითი გამოცდის წილი 40 %-ით. დასკვნით გამოცდაზე დადებით შეფასებად ჩაითვლება დადგენილი მაქსიმუმის ნახევარზე მეტი. უარყოფითი შეფასება დაჯამებას არ ექვემდებარება 7. საგნები, რომლებიც გრძელდება ორი ან მეტი სემესტრის განმავლობაში, ფასდება ყოველი სემესტრის ბოლოს 100 ქულიანი სისტემით და საბოლოო შეფასება მოხდება საშუალო არითმეტიკული გაანგარიშებით.

## **მუხლი 11. სასესიო პროცესის ორგანიზება**

1. სტუდენტის შეფასებები კომპონენტების მიხედვით ფიქსირდება შეფასების უწყისში.
2. სემესტრული საგამოცდო სესიის ვადები მტკიცდება სასწავლო წლის დასაწყისში კოლეჯის დირექტორის ბრძანებით სასწავლო კალენდრის სახით.
3. სასესიო ცხრილს (მათ შორის განმეორებითი გამოცდების ჩატარების თარიღს) ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. დაუშვებელია გამოქვეყნებულ სასესიო ცხრილში დადგენილი ვადების შეცვლა მასთან შეუთანხმებლად. სასესიო პერიოდის დაწყებამდე 1 თვით ადრე სამსახური უზრუნველყოფს საგამოცდო ბილეთების ბლანკების დროულ მიწოდებას პედაგოგებისათვის.
4. სასესიო პერიოდის დაწყებამდე 2 კვირით ადრე მასწავლებელმა ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს განსახილველად და დასამტკიცებლად უნდა წარმოადგინოს ტესტები და საგამოცდო ბილეთები.
5. სასესიო პერიოდის დაწყებამდე 1 კვირით ადრე საგნობრივი საგამოცდო კომისიის შემადგენლობას ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი და ბრძანებით აფორმებს დირექტორი.
6. საგამოცდო საგნობრივი კომისიის ფუნქციას საგამოცდო ნამუშევრების შეფასება და ამ შეფასების უწყისში გადატანა. სტუდენტთა სემესტრული (საბოლოო) შეფასების გაფორმება (უწყისის მოწესრიგება) უნდა უზრუნველყოს საგნის წამყვანმა მასწავლებელმა. ამისათვის მან მისსავე



სილაბუსში ასახული შუალედური შეფასების ფორმების შესაბამისად, სტუდენტთა შეფასება დადგენილ ვადებში უნდა წარმოადგინოს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან.

7. სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება სემესტრულ დასკვნით გამოცდებზე მიღებულ შეფასებას, უფლებამოსილია, შედეგის ოფიციალური გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში დასაბუთებული საჩივრით მიმართოს დირექტორის მოადგილეს სასწავლო დარგში და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა.
8. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას ტარდება საკვალიფიკაციო გამოცდა საშემსრულებლო (საწარმოო) პრაქტიკაში – საგამოცდო პროგრამის საკონცერტო შესრულება.
9. საკვალიფიკაციო გამოცდა (პრაქტიკული კომპონენტი) ფასდება 100 ქულით.
10. საკვალიფიკაციო გამოცდაზე დავალიანება (კრედიტის მოუპოვებლობა) სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია. დავალიანებად ჩაითვლება გამოცდაზე არ გამოცხადება და შეფასება 51 ქულის ქვევით. საკვალიფიკაციო გამოცდის დავალიანების დაფარვა შესაძლებელია მხოლოდ ერთჯერადად, საკვალიფიკაციო გამოცდების მიმდინარეობის დროს.
11. სესიის დასრულების შემდეგ სრული ინფორმაცია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შესახებ თავს იყრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან.

## **მუხლი 12. შეფასება ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული (მოდულური) პროგრამების შემთხვევაში**

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
  4. ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
  5. ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
6. განმსაზღვრელი შეფასებისას, უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს დაადასტუროს სწავლის შედეგი პროგრამის დასრულებამდე ან ერთი კვირის განმავლობაში იმ მოდულის დაწყებამდე, რომლის წინაპირობაც არის მოდული, რომლის შედეგიც ვერ დაადასტურა.
7. სასწავლო პროცესის მენეჯერი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით, უფლებამოსილია, განსაზღვროს დამატებითი (განმეორებითი) შეფასების ვადები. პროფესიული სტუდენტის წერილობითი განცხადებისა და სასწავლო პროცესის მენეჯერის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას პროფესიული სტუდენტის შედეგ(ებ)ის დამატებითი (განმეორებითი) სწავლის შედეგის დადასტურებაზე დაშვების შესახებ.
8. სწავლის შედეგი დადასტურებულად ითვლება, თუ შესაფასებელი პირი დადებითად შეფასდა შეფასების მიმართულებისა და კრიტერიუმის მიხედვით;
9. სწავლის შედეგის დადასტურება ერთი პროგრამის ფარგლებში მხოლოდ ერთხელ ხდება;
10. შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება.
11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტი, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი. 10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებელი/ები მოდულის ადაპტირებისას შეფასების მიმართულების მიხედვით არჩევენ შესაბამის შეფასების ინსტრუმენტს.

12. შეფასების ინსტრუმენტი უნდა შეესაბამებოდეს მოდულით განსაზღვრულ მტკიცებულებას და შეფასების მიმართულებას.

## **მუხლი 12<sup>1</sup> შეფასების პრინციპები**

1. შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- ა) ვალიდურობას;
- ბ) სანდოობას;
- გ) გამჭვირვალობას;
- დ) სამართლიანობას;
- ე) ობიექტურობას.

### **1.1. ვალიდურობა.**

ა) ვალიდურობა არის შეფასების სიზუსტისა და შესაბამისობის საზომი.

ბ) შეფასება ვალიდურია, როდესაც:

- პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასების მიზნის შესაბამისად გეგმავს შეფასების პროცესს;
- შეფასების ინსტრუმენტები შერჩეულია შეფასების მიზნიდან გამომდინარე (მაგ. პრაქტიკული უნარების შესაფასებლად გამოყენებულია დაკვირვება და პრაქტიკული კომპონენტის შეფასების სხვა შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტები).

გ) პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას შესაბამისი მტკიცებულებების საფუძველზე წარმოაჩინოს კონკრეტული კვალიფიკაციისთვის აუცილებელი ცოდნა და უნარები.

დ) საშუალებას აძლევს პროფესიული განათლების მასწავლებელს, მიღებულ იქნას სანდო და სამართლიანი გადაწყვეტილება ყველა პროფესიულ სტუდენტთან მიმართებაში.

### **1.2. სანდოობა.**

სანდოა შეფასება თუ:

- ა) შეფასების შედეგები ერთი და იგივეა, მიუხედავად იმისა, თუ ვინ და როდის აფასებს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგებს;
- ბ) გამოიყენება ვალიდური შეფასების მექანიზმები;
- გ) ეფუძნება შეფასების მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს;
- დ) ის უცვლელია განსაზღვრული დროის განმავლობაში.

### **1.3 გამჭვირვალობა სამართლიანობა და ობიექტურობა.**

1. ობიექტური და სამართლიანი შეფასება უნდა იყოს გამჭვირვალე. მასში ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული კონკრეტული კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც, მაქსიმალურად ობიექტურად და სამართლიანად შეფასდება ნებისმიერი პროფესიული სტუდენტის ესა თუ ის სწავლის შედეგი. სასურველია, რომ შეფასების კრიტერიუმები წინასწარ იყოს ცნობილი პროფესიული სტუდენტისათვის.

2. მიუხედავად იმისა, შეფასება ხორციელდება წერთი/ზეპირი გამოკითხვის, პრაქტიკული დავალების, ტესტისა თუ სხვა გამოკითხვის მეთოდით, პრინციპი უნდა იყოს ერთგვაროვანი. 3. სასურველია პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების

გათვალისწინებით შეირჩეს შეფასების შესაბამისი ინსტრუმენტი და სწავლის შედეგის დადასტურებისათვის საჭირო გარემო.

4. შეფასების ინსტრუმენტი უნდა იყოს ადვილად გასაგები და პროცესში ჩართულ ყველა პირს, მათ შორის, პროფესიულ სტუდენტს ერთმნიშვნელოვნად ესმოდეს მისი შინაარსი. თუმცა, სიმარტივე უნდა გამოიციხავდეს მტკიცებულებებიდან რომელიმეს უგულებელყოფას.

5. კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერდადასტურების მაჩვენებლები) შეგროვებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და იყენებს მათ პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნებისათვის.

## მუხლი 12<sup>2</sup> შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურა და შინაარსი

### 1. სტრუქტურა

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტი.

2. ინსტრუმენტი აუცილებელია იყოს დასაბუთებული, საიმედო და ეკონომიური, სტუდენტის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება უნდა იყოს ავთენტური და სწავლის პროცესში შექმნილი.

3. შეფასების პროცესის განხორციელებამდე აუცილებელია პროფესიული მასწავლებლის / მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტი შეთანხმებულ იქნას დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან.

4. ინსტრუმენტი უნდა შეირჩეს და შემუშავდეს შესაფასებელ მოდულში მითითებული შეფასების მიმართულების შესაბამისად. შეფასების მიმართულებებია:

**ა) პროცესზე დაკვირვება**— შემფასებელი აკვირდება შესაფასებელ პირის მუშაობას პროფესიული პროგრამით/მოდულით) განსაზღვრული ამოცანების შესრულების პროცესში რამდენად სწორად იყენებს შესაფასებელი პირი ცოდნას, უნარებსა და ყველა რესურსს შედეგის მისაღწევად.

**ბ) პროდუქტი/შედეგის შეფასება**— მტკიცებულების (პროდუქტის / შედეგის) შეფასების შედეგად შემფასებელს შეუძლია განსაზღვროს და გადაწყვიტოს, აითვისა თუ არა შესაფასებელმა პირმა მოდულის სწავლის შედეგებით მოთხოვნილი ცოდნა და უნარები.

**გ) გამოკითხვა**— ძირითადად აკადემიური უნარების (კოგნიტური, კრეატიული, ანალიტიკური) შესაფასებლად გამოიყენება. ამ ხერხს მიმართავენ მაშინ, როცა საჭიროა სტუდენტის ცოდნის, აღქმისა და გაგების, ნასწავლის გამოყენების (ტრანსფერის), მსჯელობის, ანალიზის, დაგეგმვისა და შეფასების უნარების განსაზღვრა. პასუხის გაცემა შესაძლებელი იქნება ზეპირად ან წერილობით.

5. სწავლის შედეგების შეფასებისთვის შესაბამისი ინსტრუმენტების შესამუშავებლად, პროფესიულმა მასწავლებელმა, (რომელიც ახორციელებს მოდულს მათთვის, ვისი სწავლის შედეგებიც ვასდება) წინასწარ უნდა განსაზღვროს ის ცოდნა და უნარი, რომლებიც სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ მოდულის მოთხოვნების შესაბამისად, რათა მათ შეძლონ ასათვისებელი ცოდნისა და გაგების დემონსტრირება. შეფასების პროცესში არ უნდა იყოს შეტანილი მასალა, რომელიც სტუდენტებს არ უსწავლიათ.

## 6. ინსტრუმენტის სტრუქტურა:

1. ზოგადი ნაწილი;
2. დავალების შინაარსი
3. დასკვნითი ნაწილი;

**ზოგადი ნაწილი** უნდა შედგებოდეს შემდეგი პუნქტებისგან:

დაწესებულების დასახელება ;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება;

მოდულის სახელწოდება და რეგისტრაციის ნომერი;

შემფასებელი პროფესიული მასწავლებლის/მოდულის განმახორციელებელი

პირის სახელი, გვარი;

პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი;

ჩატარების თარიღი;

შეფასების მიმართულება;

შეფასების ინსტრუმენტის დასახელება;

შესასრულებელი დავალების ინსტრუქცია;

შეფასებისათვის საჭირო გარემო;

შეფასების სქემა;

ინფორმაცია განმეორებითი შეფასების შესახებ;

სწავლის შედეგის/შედეგების მიღწევის დასადასტურებლად განსაზღვრული მტკიცებულება/მტკიცებულებები

2. **დავალების შინაარსი**—ინსტრუმენტის ამ ნაწილში მოცემულია დავალება , რომელიც უნდა შეფასდეს. მაგ. ტესტები, სიტუაციური ამოცანა, პრაქტიკული დავალება და სხვა.

შენიშვნა; ყოველთვის როდესაც პროფესიული განათლების მასწავლებლები ადგენენ იმ შეკითხვების ნაკრებს, რომლებიც უნდა გამოიყენონ წერითი გამოცდის ან ზეპირი გამოკითხვისას, კითხვების პარალელურად აუცილებელია, ჩამოაყალიბონ დეტალური სანიმუშო სწორი პასუხები. ეს „შეფასების სქემის“ არსებითი ნაწილია.

პრაქტიკული უნარ-ჩვევებისა და პროდუქტის შეფასებისათვის, შეფასების სქემაში არის დეტალური ჩამონათვალი, რომელიც განსაზღვრავს:

ა) ქმედებებისა და უნარების სრულ სპექტრს, რომლის დემონსტრირებაც სტუდენტმა უნდა მოახდინოს;

ბ) შესრულების მოსალოდნელ ხარისხს;

გ) ხარვეზების დასაშვებ ნორმებს.

3. დასკვნით ნაწილში მოცემულია შედეგის დადასტურების რეკვიზიტები: აღნიშვნა— შედეგი დადასტურდა/ არ დადასტურდა; შემფასებელი პროფესიული მასწავლებლის /მოდულის განმახორციელებელი პირის ხელმოწერა; შესაფასებელი სტუდენტის ხელმოწერა; შიდა ვერიფიკატორის (არსებობის შემთხვევაში) ხელმოწერა;

## **მუხლი 12<sup>3</sup>. შეფასების ინსტრუმენტები, შიდა ვერიფიკაცია და ვალიდაცია**

### **12<sup>3</sup>.1. ვალიდაცია**

12<sup>3</sup>.1.1 შეფასების ინსტრუმენტის შექმნის ვალდებულება აქვს მოდულის განმახორციელებელ პირს (პირებს). მოდულის დაწყებამდე მას განიხილავს და შესაბამისი ხელმოწერით ადასტურებს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.

12<sup>3</sup>.1.2 შეფასების მიზნებისათვის ნებადართულია მხოლოდ ვალიდური შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება, რომელზეც მითითებული უნდა იყოს „გავლილია ვალიდაცია“ შესაბამისი თარიღის მითითებით.

12<sup>3</sup>.1.3. შეფასების ინსტრუმენტი უნდა შეესაბამებოდეს მოდულით განსაზღვრულ მტკიცებულებას და შეფასების მიმართულებას.

123.1.4. ვალიდაციას ახორციელებს კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით შექმნილი ვალიდაციის ჯგუფი, რომლის აუცილებელ წევრებად განისაზღვრებიან შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მენეჯერი და დარგის სპეციალისტ(ებ)ი/კომპეტენციის მქონე პირები.

123.1.5. შეფასების პროცესამდე მინიმუმ 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალიდაციის ჯგუფს უგზავნის/წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს.

12<sup>3</sup>.1.6. ხარვეზის დადგენისათვის ვადა განისაზღვრება 2 (ორი) დღით.

12<sup>3</sup>.1.7. ხარვეზის არსებობის შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტი შესაბამისი რეკომენდაციით/შენიშვნებით/მითითებებით უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც ვალდებულია 3 (სამი) დღის ვადაში წარმოადგინოს შესწორებული ვერსია.

### **12<sup>3</sup>.2. ვერიფიკაცია**

12<sup>3</sup>.2.1. პროფესიული სტუდენტის შეფასების დროს კოლეჯი იყენებს პროფესიული სტუდენტის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმს. ვერიფიკაცია არის პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდულის სწავლის შედეგების/შესრულების მტკიცებულების თავსებადობა—შესაბამისობისა და ავთენტურობის აღიარების მექანიზმი. არსებობს ვერიფიკაციის ორი სახე შიდა და გარე:

- ა) შიდა ვერიფიკაციის ახორციელებს შიდა ვერიფიკატორი, რომელიც შესაძლოა იყოს კოლეჯის იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი, ან იმავე პროგრამის სხვა მოდულის მასწავლებელი ან/და ადმინისტრაციის წარმომადგენელი;
- ბ) გარე ვერიფიკაციას (დადასტურებული სწავლის შედეგების ნამდვილობის გადამოწმება) ახორციელებს გარე ვერიფიკატორი – პირი რომლის კვალიფიკაცია იძლევა საშუალებას დაადასტუროს ან უარყოს შიდა ვერიფიკატორის მიერ დასკვნის სახით აღიარებული შედეგები. გარე ვერიფიკატორი შესაძლოა იყოს დამსაქმებელი, კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი სხვა სასწავლებლის წარმომადგენელი, ან/და შესაბამისი დარგის სპეციალისტი ან/და პროფესიული განათლების ხარისხის მაკონტროლებელი უფლებამოსილი სახელმწიფო ან/და კერძო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

12<sup>3</sup>.2.2. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის ფარგლებში განსაზღვრავს კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის / პროგრამების სწავლის შედეგების ვერიფიკირების პერიოდს.

12<sup>3</sup>.2.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ვერიფიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს პროფესიულ სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების გასაჩივრების სისტემატური მომართვიანობის შემთხვევაში, ახალი პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორის არსებობის ან/და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღებებისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით.

12<sup>3</sup>.2.4. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ შერჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების სწავლის შედეგების შიდა ვერიფიკაციის განხორციელებისათვის კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით იქმნება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი და შესაბამისი დარგის სპეციალისტ(ებ)ი/კომპეტენციის მქონე პირები.

12<sup>3</sup>.2.5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ვერიფიკაციის პროცესში გამოვლენილი ხარვეზების არსებობის შემთხვევაში, ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელი სამსახურებრივი ბარათით მიმართავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელს მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის დისციპლინური პასუხისმგებლობის ან/და პროფესიული განვითარების/გადამზადების შესახებ. ვერიფიკაციის ჯგუფი ხარვეზის არსებობის შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტს შესაბამისი რეკომენდაციით/შენიშვნებით განსახილველად უბრუნებს ვალიდაციის ჯგუფს შემდგომი რეაგირების მიზნით.

#### **მუხლი 12<sup>4</sup> . მოთხოვნები მტკიცებულების მიმართ**

1. შესრულების მტკიცებულება წარმოადგენს შესაფასებელი პირის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალური ან ციფრული სახით დადასტურებას;
2. შეფასების პროცესში, გადაწყვეტილების მიღებისას, პროფესიული განათლების მასწავლებელმა უნდა შეაფასოს წარმოდგენილი მტკიცებულების შესაბამისობა სწავლის შედეგების კრიტერიუმებთან. პროფესიული განათლების მასწავლებელი მტკიცებულებებზე დაყრდნობით განიხილავს შეუძლია თუ არა პროფესიულ სტუდენტს დავალების თანმიმდევრულად შესრულება. მნიშვნელოვანია, რომ შეფასება ეფუძნებოდეს მტკიცებულებას, რომელიც უნდა იყოს ვალიდური, ტრანსფერული, ავთენტური, საკმარისი და მოდულის სპეციფიკაციით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისი.
3. მტკიცებულების საკმარისობა – მტკიცებულება საკმარისია, თუ ამ მტკიცებულების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროფესიულ სტუდენტს შეუძლია საქმიანობის განხორციელება შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად.
4. მტკიცებულების ვალიდურობა – ვალიდურია მტკიცებულება, თუ ის ზუსტად ასახავს იმას, რაც უნდა შეფასებულყო.
5. მტკიცებულების ავთენტურობა – მტკიცებულება ავთენტურია, თუ ის შესრულებულია შესაფასებელი პირის მიერ.
6. მტკიცებულების ტრანსფერულობა – მტკიცებულება ტრანსფერულია, თუ მის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროფესიული სტუდენტი იმავე დავალების შესრულებას შეძლებს იმავე კრიტერიუმების შესაბამისად, არა მხოლოდ სასწავლო ან სიმულაციურ, არამედ რეალურ სამუშაო გარემოშიც.
7. შესრულების მტკიცებულება წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის (შესაფასებელი პირის) მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალური ან ციფრული სახით არსებულ დადასტურებას.
8. შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პირს, რომელიც აღნიშნულ მტკიცებულებებს ათავსებს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში.
9. შესრულების მტკიცებულებები უნდა უზრუნველყოფდეს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების საშუალებას.

10. მტკიცებულებები ინახება მათი მოპოვებიდან 3 წლის ვადით, რის შემდეგაც ხდება მათი განკარგვა დადგენილი წესით.

11. სწავლის შედეგების დადასტურების უწყისები პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება უვადოდ.

### **მუხლი 13. პროფესიული სტუდენტის შეფასების შედეგების აპელაციის პროცედურა**

1. პროფესიული სტუდენტის შედეგის დადასტურების/შეფასების შედეგების გათვალისწინებით სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს შეფასების შედეგი სააპელაციო კომისიაში, რომელსაც ქმნის დაწესებულების დირექტორი შესაბამისი ბრძანების საფუძველზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის გასაჩივრების უფლება ასევე ვრცელდება პროფესიული სტუდენტის მიერ დაუდასტურებელი სწავლის შედეგის გადაბარების შემთხვევაზე.

3. სააპელაციო კომისია, შედგება არანაკლებ 3 წევრისაგან, რომლის შემადგენლობას განსაზღვრავს დირექტორი ბრძანების საფუძველზე. კომისიის შემადგენლობის განსაზღვრისას თავიდან უნდა იქნეს აცილებული ინტერესთა კონფლიქტი.

4. სააპელაციო კომისიაში პროფესიულ სტუდენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს საჩივრის წარდგენის უფლება აქვს შეფასების შედეგების გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში. კომისია საჩივარს განიხილავს და საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მისი შეტანიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში. აპელაციის განხილვაში სავალდებულოა საჩივრის წარმდგენი პროფესიული სტუდენტის ან/და მისი კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობა.

5. სააპელაციო კომისია საჩივრის განხილვის შედეგად იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

- ა) საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ;
- ბ) საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

6. სააპელაციო კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას უგზავნის პროფესიულ სტუდენტს ან/და მის კანონიერ წარმომადგენელს ოფიციალური წერილობითი ფორმით.

7. პროფესიული სტუდენტისთვის არადამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, სტუდენტი უფლებამოსილია სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით, გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

## **თავი V კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურა**

### **მუხლი 14. კვალიფიკაციის მინიჭების წესი**

1. სამუსიკო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კოლეჯის კურსდამთავრებულს ენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია. პროფესიულ კვალიფიკაციას, დადგენილი წესის თანახმად, ანიჭებს კოლეჯი საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგებისა და საკვალიფიკაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე.

1.1. მოდულური პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები. სამუსიკო პროგრამებზე კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

2. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტით იქმნება საკვალიფიკაციო კომისია არანაკლებ 5 წევრის შემადგენლობით.

3. საკვალიფიკაციო კომისია:

ა) დეტალურად შეისწავლის თითოეული სტუდენტის პირად საქმეს;

ბ) ადგენს, შესრულებული აქვს თუ არა სტუდენტს პროგრამის მოთხოვნები და, საჭიროების შემთხვევაში, აძლევს მათი გამოსწორებისათვის აუცილებელ ვადას და საჭირო რეკომენდაციებს;

გ) პროფესიულ სტუდენტთა მიერ სასწავლო კურსებში მიღებული შედეგების საფუძველზე ამზადებს შესაბამის დასკვნას პედაგოგიური საბჭოსათვის კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ, რის თაობაზეც დგება საკვალიფიკაციო კომისიის ოქმი;

დ) საკვალიფიკაციო კომისიის დასკვნაში უნდა აღინიშნოს თითოეული კურსდამთავრებულისათვის მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება შესაბამისი საფეხურის მითითებით (ქართულ და ინგლისურ ენებზე).

4. გადაწყვეტილებას კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ, ღებულობს პედაგოგიური საბჭო, რის საფუძველზეც კოლეჯის დირექტორი გამოსცემს შესაბამის ბრძანებას.

5. კვალიფიკაციას ადასტურებს კოლეჯის დირექტორის მიერ ხელმოწერილი და კოლეჯის ბეჭდით დამოწმებული პროფესიული დიპლომი (იხ., დიპლომების ფორმების გამოყენებისა და აღრიცხვა – ანგარიშგების წესი) (ბრძ. N1/14 27.05.2013).

5. პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა საგანმანათლებლო პროგრამა, უწყდება სტუდენტის სტატუსი და ეძლევა სათანადო მოწმობა.

## **მუხლი 15. დასაქმების სფერო**

1. სამუსიკო პროფესიული განათლების V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების დასაქმების სფეროს წარმოადგენს დაწყებითი სამუსიკო საგანმანათლებლო დაწესებულებები, ფართოპროფილიანი სამუსიკო და ხელოვნების ცენტრები, სტუდიები, მუსიკალური თეატრები, კამერული და სიმფონიური ორკესტრები, მოყვარულთა, სასწავლო, ხალხური და აკადემიური გუნდები, სხვადასხვა სახის ვოკალური და საკრავიერი ანსამბლები.

2. სამუსიკო ხელოვნებაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი შეუძლია დასაქმდეს სხვადასხვა საშემსრულებლო ჯგუფებში, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებებში (დაწყებითი საფეხური), სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, მუსიკალურ და თეატრალურ სტუდიებში, შემოქმედებით კოლექტივებში. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა (მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შემდეგ), მუსიკალური, სახელოვნებო ან/და ფართო პროფილის ორგანიზაცია, ტელევიზია, კინოწარმოება, თეატრი, მუსიკალური სასწავლო სტუდია, თეატრალური სასწავლო სტუდია, ხმის ჩამწერი სტუდია, საპროდიუსერო ცენტრი, ასევე შეუძლია თვითდასაქმება და ეწეოდეს კერძო პროფესიულ პრაქტიკას.



